თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი
მათემატიკის ინსტიტუტი

TBILISI STATE UNIVERSITY
I. VEKUA INSTITUTE OF APLLIED MATHEMATICS

შალვა ფხაკაძე

Shalva Pkhakadze


თბილისი - Tbilisi
1999

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

TBILISI STATE UNIVERSITY

მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის
პროფესორ შალვა ფხაკაძის დაბადებიდან 80
წლისთავის საიუბილეოდ მიძღვნილი
გამოცემა

This publication is dedicated to the memory
of honoured scientist Prof. Sh. Pkhakadze



თბილისი - Tbilisi

1999

იბეჭდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დადგენილების თანახმად.

1999 წლის 7 აპრილს, ხარება დღით, ცნობილ ქართველ მეცნიერს - შალვა ფხაკაძეს შეუსრულდებოდა დაბადებიდან 80 წელი.

ამ თარიღს ეძღვნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ენის, ლოგიკის და მეტყველების ცენტრის მიერ ორგანიზებული თბილისის მესამე საერთაშორისო სიმპოზიუმი „ენა, ლოგიკა, გამოთვლები“. ამავე თარიღს უძღვნიან ავტორები ამ მცირე მოცულობის ნაშრომს, სადაც მოკლედაა მოთხრობილი შ. ფხაკაძის ოჯახის, ცხოვრებისა და მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ.

On april 7, 1999 was an 80-th anniversary of famous Georgian scientist Prof. Sh. Pkhakadze.

The third international Tbilisi symposium on language, logic and computation will be devoted to this date, which is organized by the Tbilisi State University centre “language, logic and speech”.

These papers are also devoted to this date, where very briefly is related about Sh. Pkhakadze’s family, life and scientific activities.



წინათქმის მაგიერ

ეს მცირე მოცულობის ნაშრომი კიდევ ერთი ანალიზია მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის პროფ. შ. ფხაკაძის მეცნიერული მოღვაწეობისა და უანგარო პატივისცემით გამსჭვალული ერთგვარი გახსენებაა მისი ამქვეყნიური ცხოვრებისა.

იგი დაიბადა ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საჭარაში სამსონ ფხაკაძისა და ნინო ფუტკარაძის ოჯახში, ოჯახში, სადაც ბატონი შალვას გარდა კიდევ ოთხი შვილი იზრდებოდა - თამარი, მიხეილი, ვასილი და პეტრე ფხაკაძეები, - ოჯახში, სადაც მიუხედავად ყველაფრისა, შრომის, ერთგულების, სიკეთის და სიყვარულის რწმენა სუფევდა.

ქალბატონი თამარ ფხაკაძე რესპუბლიკის დამსახურებული გეოლოგი ბრძანდებოდა და სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული თერჯოლის რაიონში დღეს თამარის წყაროდ ცნობილი სამკურნალო წყლის აღმოჩენა, რომელსაც მან მიაკვლია და რომლის სამკურნალო თვისებებიც შეამჩნია მანვე.

ბატონი მიხეილი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, თადარიგის პოლკოვნიკი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, რიგი ორდენების კავალერი და სამხედრო ექიმი, თავისი დარგის დაფასებული და აღიარებული სპეციალისტი, დღესაც თავდაუზოგავად ემსახურება ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს.

ბატონი ვასილი, ასევე რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, რიგი პუბლიკაციების და სამეცნიერო ხასიათის ნაშრომთა ავტორი, წლების განმავლობაში მსახურობდა აფხაზეთში, სადაც მან მისი გამორჩეული გულისხმიერი ბუნებისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით ბევრი მეგობარი შეიძინა, რომლებიც დღესაც პატივს სცემენ მის

საბელსა და ხსოვნას. მის პუბლიკაციათა შორის აღსანიშნავია ჰიპერტონიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სქელტანიანი ნაშრომი, სადაც იგი სიღრმისეულად განიხილავს აღნიშნული პრობლემატიკისათვის დამახასიათებელ საკითხებს.

ბატონი პეტრე, რესპუბლიკის დამსახურებული მელიორატორი, იმავდროულად მელიორაციის ინსტიტუტის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სწავლული მდივანი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომების ავტორი გახლდათ. მისი სადოქტორო დისერტაცია ეძღვნებოდა ისეთ სერიოზულ პრობლემას, როგორიც იყო კოლხეთის დაბლობი ჭაობების ამოშრობა–ათვისების საქმე. იქნებ არც არის საჭირო, მაგრამ, თუ ბატონ პეტრეზეა საუბარი, ისიც უნდა ითქვას, რომ იგი ბრწყინვალე თაობა ბრძანდებოდა-ქართული ადათითა და წესებით აღზრდილი, და მათივე მატარებელი, ასეთივე კვალს ტოვებდა ყველგან.

... თითოეულ მათთაგანზე შეიძლებოდა საუბარი დიდხანს, შეიძლებოდა საუბარი გატაცებით. მათი ღვაწლი არ შემოიფარგლება იმ მშრალი მონაცემებით, რომლებიც ზევით აღვნიშნეთ. მაგრამ ძირი მათი ღვაწლმოსილებისა, და ამ წინათქმის მაგიერის მიზანი, გახლავთ გახსენება და პატივის მიგება იმისა, რასაც ბატონი სამსონ ფხაკაძისა და ქალბატონი ნინო ფუტკარაძის ოჯახი ჰქვია, ოჯახი, სადაც ოჯახიშვილები, მიუხედავად ყველაფრისა შრომის, ერთგულების, სიკეთის და სიყვარულის რწმენით იზრდებოდნენ.

პროფ. შ. ფხაკაძის ცხოვრების მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა

შალვა სამსონის ძე ფხაკაძე დაიბადა 1919 წლის 7 აპრილს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა საქარაში. იგი წარჩინებით ამთავრებს სოფ. ზედა საქარის დაწყებით სკოლას (1930), ზესტაფონის I საშ. სკოლას (1933), ზესტაფონის

პედაგოგიურ სასწავლებელს (1936), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს(1941), ამასთან, სადიპლომო ნაშრომი "დიფერენციალური განტოლებების გეომეტრიული თეორიის შესახებ" მან დაიცვა აკადემიკოს გიორგი ჭოღოშვილის ხელმძღვანელობით.

1942-1952 წლებში მუშაობდა ზესტაფონის რაიონის სხვადასხვა სკოლებში მასწავლებლად. ამასთან, 1944-1949 წლებში შეთავსებით მუშაობდა ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებაში მეთოდისტად და ხელმძღვანელობდა აღნიშნული განყოფილების მათემატიკურ სექციას.

1949 წელს პროფესორ ვლადიმერ ჭელიძის ხელმძღვანელობით შალვა ფხაკაძე იწყებს ინტეგრალთა თეორიისა და სიმრავლეთა თეორიის ინტენსიურ შესწავლას, ხოლო ერთი წლის შემდეგ იწყებს ინტენსიურ მუშაობას ზომის თეორიაში.

1952 წლის იანვარში იგი გამოდის მოხსენებით ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ფუნქციათა თეორიის განყოფილების სემინარზე, სადაც მის მიერ მოხსენებულ იქნა მისი კვლევების ძირითადი შედეგები და მიმართულებანი. მასთან, დასმულ იქნა რიგი სერიოზული ამოცანები ლებეგის ტიპის ზომათა თეორიებისათვის. აქვე, პროფესორ ვლადიმერ ჭელიძის რჩევით, შალვა ფხაკაძე იღებს გადაწყვეტილებას, რომ ნაწილი მისი შრომებისა, და კერძოდ, ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ფუბინის თეორემის სამართლიანობას ორჯერად ინტეგრალებში ინტეგრების რიგის შეცვლასთან დაკავშირებით, გაფორმდეს ცალკე დასრულებული ნაშრომის სახით საკანდიდატო დისერტაციად.

ხსენებული მოხსენების საფუძველზე მას იმავე წელს იწვევენ ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1952 წლის 29 თებერვალი), სადაც იგი უკვე ასრულებს საკანდიდატო

დისერტაციის გაფორმებას, რომელსაც წარმატებით იცავს 1953 წლის 30 ივნისს.

1953 წელს მან გააკეთა რამდენიმე მოხსენება ვ. მ. სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში პ. ს. ნოვიკოვის სემინარზე, რომლებზეც მან დეტალურად დაახასიათა თავისი სამეცნიერო კვლევათა ძირითადი მიმართულებანი, ჩამოაყალიბა ამ მიმართულებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ამოცანები, და გააშუქა მიღებული შედეგები.

სემინარისა და პ. ს. ნოვიკოვის დადებითმა რეაქციამ გააძლიერა მომხსენებელის რწმენა და ძალები და იგი მიზანმიმართულად აგრძელებს ნაყოფიერ კვლევით საქმიანობას არჩეული მიმართულებით.

1953 წელს იგი გადაყვანილ იქნა უფროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1957 წელს დაამტკიცეს უფროს მეცნიერ თანამშრომლად "ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის" სპეციალობით.

1956 წელს შალვა ფხაკაძემ დასაბეჭდად წარადგინა სადოქტორო დისერტაცია "ლებეგის ტიპის ზომათა თეორიისათვის", რომელიც მან წარმატებით დაიცვა 1959 წელს.

1965 წლის იანვარში ბატონ შალვას მიენიჭა უმაღლესი მათემატიკის კათედრის პროფესორის წოდება.

შემდგომში, 1967 წლამდე, პროფესორი შ. ფხაკაძე აგრძელებს მუშაობას აღნიშნული მიმართულებით და ღებულობს რიგ სიღრმისეულ შედეგებს ზომისა და სიმრავლეთა ზოგად თეორიაში. ამ შრომებში, კერძოდ, შესწავლილია ზომათა კანონიკური გაშლები, ზომათა უწყვეტობისა, გახლეჩადობის და განზოგადების საკითხები. დიდ ინტერესს იწვევს მის მიერ აგებული, პარადოქსული თვისებების მქონე, ნამდვილ რიცხვთა აბელის ჯგუფის ეფექტურად

განსაზღვრული ქვეჯგუფი, რომლის ორჯერ შევიწროებით მიიღება სიმრავლე, რომელიც იხლიჩება კონტინუალურ რიცხვ სიმრავლეებად, რომელთაგან თითოეული კონგრუენტულია თავიდან აღებული აბელის ჯგუფის ეფექტურად განსაზღვრული ქვეჯგუფისა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მათემატიკისა და ავტომატების თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ძლიერ გაიზარდა მოთხოვნილება მათემატიკური ლოგიკის სპეციალისტებისადმი, პროფ. შ. ფხაკაძე მთელ თავის ძალებს ახმარს რესპუბლიკაში მათემატიკური ლოგიკის განვითარების საქმეს.

1966 წლიდან ის იწყებს მათემატიკური ლოგიკის შესწავლას. პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მიჰყავს სპეცკურსი და კითხულობს ლექციებს მათემატიკურ ლოგიკაში. ამასთან, 1969 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში აკად. ილია ვეკუასა და ინსტიტუტის ადმინისტრაციის ხელშეწყობით პირველად რესპუბლიკაში ხსნის მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილებას, რომელსაც ძირითადად აკომპლექტებს თავისივე მოწაფეებით. და აქაც, მიუხედავად სპეციალობის ცვლილებასთან დაკავშირებული სირთულეებისა, პროფ. შ. ფხაკაძე ჰქმნის ახალ ორგინალურ მიმართულებას მათემატიკურ ლოგიკაში. ეხლაც, მათემატიკური ლოგიკისა და მეთოდოლოგიის განყოფილებაში, განყოფილებაში რომელსაც ამჟამად მისი მოწაფე და თანამიმდევარი ხიმურ რუხაია ხელმძღვანელობს, კვლევები მიმდინარეობს მის მიერ მონიშნული და შექმნილი მიმართულებით.

პროფ. შ. ფხაკაძის შედეგები აღნიშნული მიმართულებით ძირითადად განთავსებულია მონოგრაფიაში "აღნიშვნათა

თეორიის ზოგიერთი საკითხები". ეს ნაშრომი, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულება აქვს, ფაქტიურად ქმნის შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორიას, რომელიც აქამდე არსებობდა მხოლოდ როგორც ერთი ფრაგმენტი განსაზღვრებათა თეორიისა. ნაშრომში მოძებნილია შემამოკლებელ სიმბოლოთა შემომტანი გარკვეული აზრით რაციონალური სისტემა, შემუშავებულია ტერმინოლოგია და დამტკიცებულია ძირითადი თეორემები შემამოკლებელ სიმბოლოთა და შემოკლებულ ფორმათა ძირითადი თვისებების შესახებ. გარდა ამისა, მის მიერ დასმული რიგი სერიოზული ამოცანების საფუძველზე მისი მოწაფეები ეხლაც აგრძელებენ შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორიის შემდგომ განვითარებას.

ამ მიმართულებით პროფ. შ. ფხაკაძისა და მისი მოწაფეების შედეგებით დაინტერესებულები იყვნენ არა მხოლოდ თეორეტიკოსები არამედ მათემატიკის გამოყენებით დარგთა სპეციალისტებიც. ამ შედეგების საფუძველზე დაიდო ხელშეკრულება გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტსა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტს შორის, რომელიც ითვალისწინებდა თანამშრომლობას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განყოფილებასა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ციფრულ ავტომატთა განყოფილებას შორის.

ზემოთ აღნიშნული მონოგრაფიისა და პროფ. შ. ფხაკაძის მოწაფეთა იმდროინდელი შედეგების შესახებ უკვე 1978 წელს მოხსენებული იქნა საკავშირო სიმპოზიუმზე "ხელოვნური ინტელექტი და გამოკვლევათა ავტომატიზაცია მათემატიკაში" (ქ. კიევი) და 1979 წელს გოტლობ ფრეგეს ხსოვნისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე (ქ. იენა). ამ მოხსენებათა შედეგად გამოკვეთილმა ინტერესებმა განაპირობეს შემდგომი გაფართოება სამეცნიერო კონტაქტებისა. ასე მაგალითად, სწორედ ამ

მოხსენებათა საფუძველზე და შემდგომ ჩამოყალიბდა მჭიდრო კონტაქტი ადგილობრივ ლოგიკოსთა ჯგუფსა და ირკუტსკელი მატემატიკოსების ჯგუფს შორის, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი ვ. მატროსოვი.

აღნიშნული მონოგრაფიით განსაზღვრული მიმართულების მნიშვნელობას ადასტურებს ფ. ვან რამსდოკის სადოქტორო დისერტაციაც (1996 წ. ამსტერდამი), სადაც ფხაკაძისეული შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორია, ცნობილი მათემატიკოსის პ. აქსელის ნაშრომთან ერთად, შეფასებულია როგორც ერთ-ერთი პირველწყარო თერმთა გადაწერის დაბმულცვლადებიანი შემთხვევისათვის.

პროფ. შ. ფხაკაძე დაძაბულ სამეცნიერო კვლევით მუშაობას კარგად უთავსებდა პედაგოგიურ საქმიანობას. ათ წელზე უფრო მეტი ხნის განმავლობაში იგი მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უმაღლესი მათემატიკის კათედრის პროფესორის თანამდებობაზე (1962-1972 წლები), 1962 წლიდან კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც აგრეთვე ხელმძღვანელობდა ასპირანტებს და მაძიებლებს. მის მოწაფეთა შორის არის ორი მეცნერებათა დოქტორი (ს. ხარაზიშვილი და რ. ომანაძე) და ექვსი მეცნიერებათა კანდიდატი (მ. თეთრუაშვილი, ხ. რუხაია, გ. კობზევი, ზ. ხასიდაშვილი, ო. ჭანკვეტაძე და თ. კუცია).

უნივერსიტეტის მექანიკა-მათემეტიკის ფაკულტეტის სტუდენტები და ასპირანტები დღესაც სარგებლობენ მის მიერ შექმნილი სახელმძღვანელოებით. ამ მიმართულებით მისი უკანასკნელი ნაშრომი "მათემატიკური ლოგიკა-საფუძვლები" გამოქვეყნების პროცესშია. (1996 წელს გამოვიდა მისი პირველი ტომი, მეორე ტომი მზადაა გამოსაცემად).

ბატონი შალვა აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. იგი წლების განმავლობაში იყო

მთელი რიგი სამეცნიერო საბჭოების, მათ შორის სპეციალიზირებულ სადოქტორო და საკანდიდატო საბჭოების წევრი. ის იყო საქართველოში მათემატიკისა და მექანიკის პრობლემური საბჭოს წევრი, კერძოდ ამ საბჭოს მათემატიკური ლოგიკის სექციის თავჯდომარე და მეთოდიკის სექციის წევრი. გარდა ამისა, იგი იყო ვ.მ. კომაროვის(ამჟამად თ. გეგელიას) სახელობის სკოლა–ინტერნატის მზრუნველთა საბჭოს წევრი.

ხანგრძლივი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის გამო მას 1967 წელს მიენიჭა მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1979 წელს ბატონ შალვას, მისი სამოცწლოვანი იუბილის აღსანიშნავად, გადაეცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის საპატიო მედალი.

პროფ. შ. ფხაკაძის მეცნიერული მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა

პროფესორ შალვა სამსონის ძე ფხაკაძის შრომების პირველი ციკლი ეძღვნება ინტეგრალთა თეორიას. ამ ნაშრომთა შედეგები ძირითადად შედიან შრომაში "О повторных интегралах" (თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები ტ.20), რომელიც წარმოადგენს მისი საკანდიდატო დისერტაციის მოკლე გადმოცემას. მასში შესწავლება სიბრტყის სიმრავლეთა მახასიათებელი ფუნქციებიდან აღებული განმეორებითი ინტეგრალებისათვის ინტეგრების რიგის შეცვლის შესახებ ფუბინის თეორემის სამართლიანობის საკითხი, როცა სიმრავლე საკოორდინატო ღერძის თითოეულ პარალელთან იკვეთება ბორელის აზრით ზომად სიმრავლეზე. საკმაოდ რთული მსჯელობით ავტორი ღებულობს შემდეგ კონკრეტულ შედეგს: თუ აღნიშნული კვეთები ბორელის ნულოვანი კლასის სიმრავლეებია, მაშინ შესაბამისი მახასიათებელი ფუბინის თეორემა სამართლიანია. ეს შედეგი გარკვეული აზრით საბოლოოა. სახელდობრ, სათანადო მაგალითის დახმარებით ნაჩვენებია, რომ იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული კვეთები

ბორელის პირველი კლასის სიმრავლეებია, მაშინ ფუბინის თეორემა, საზოგადოდ, არაა სამართლიანი.

ნაშრომთა მეორე ციკლი ეძღვნება სიმრავლეთა ზოგად თეორიას და ზომის თეორიას. ამ შრომების ნაწილი შედის მის სადოქტორო დისერტაციაში "К Теорий Лебегевской меры" (თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 25, გვ. 3-271), რომელიც დიდი ხანია იქცა კლასიკურ მონოგრაფიად ინვარიანტულ ზომათა თეორიაში. მასში ძირითადად შედის ამ მიმართულებით ადრე გამოქვეყნებული ავტორის ყველა ნაშრომი. იგი წარმოადგენს ლებეგის ტიპის ზომების თეორიაში ფუნდამენტურ გამოკვლევას. მასში შემოტანილია მეტად პროდუქტიული ცნება. სახელდობრ -- აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლის ცნება. ეს ცნება საფუძველია მთელი სადისერტაციო ნაშრომისა და, აგრეთვე, შემდეგში მისი მოწაფეების მიერ შესრულებული ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომებისა.

აქვე შევნიშნოთ, რომ ამ პროდუქტიული ცნების მოძებნამ მოითხოვა ღრმა გამოკვლევის ჩატარება. ევკლიდურ R^n $(n=1,2)$ სივრცის ისეთ სიმრავლეთა ცნების შემოტანის იდეა, რომელთა უგულებელყოფა შეიძლება ზომის თვალსაზრისით, სხვა ავტორებსაც ჰქონდათ. მაგალითად, იხილავენ "უპირობოდ ნული ზომის სიმრავლის" ცნებას და სხვა. მაგრამ ისინი არ აღმოჩნდნენ პროდუქტიულები და ვერ შეძლეს რამდენადმე საგრძნობი როლის შესრულება ზომის თეორიის განვითარებაში. სხვა ავტორებისაგან განსხვავებით შ. ფხაკაძე აბსოლუტურად ნული ზომის სიმრავლის ცნების განსაზღვრისას შემზღუდავ პირობებს ადებს არა მარტო განსახილველ A სიმრავლეს, არამედ ყოველ სიმრავლეს, რომელიც A-სთან ერთად "ბუნებრივად" უნდა იყოს აბსოლუტურად ნულზომის. სახელდობრ, მან გამოიკვლია აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლის ცნების 4 ვარიანტი და აჩვენა პირველი სამი

მათგანის არაპროდუქტიულობა. პირველ ვარიანტში შემზღუდავი პირობები "იყოს ნული ზომის" და "იყოს დადებითი ზომის" (ლებეგის ტიპის ზომათა კლასში) ეძება მხოლოდ განხილულ $A \subset R^n$ სიმრავლეს, მეორე ვარიანტში--A სიმრავლის თითოეულ ნაწილს, მესამე, შესაბამისად მეოთხე, ვარიანტში $-A$ სიმრავლის თითოეულ სასრულ, შესაბამისად თვლად, კონფიგურაციას. (A' სიმრავლეს ეწოდება A სიმრავლის სასრული, შესაბამისად თვლადი, კონფიგურაცია, თუ იგი წარმოიდგინება სასრული, შესაბამისად თვლადი, რიცხვი სიმრავლეთა გაერთიანების სახით, რომელთაგან თითოეული A სიმრავლის რაიმე ნაწილის კონგრუენტულია). მტკიცდება რომ პირველი სამი ვარიანტის შემთხვევაში ორი აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლის გაერთიანება შეიძლება დაემთხვეს მთელ სივრცეს.

მეოთხე ვარიანტის შემთხვევაში, რომელიც შ. ფხაკაძემ მიიღო საბოლოო განსაზღვრებად, აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლეებს აქვთ რიგი მნიშვნელოვანი თვისება. ასეთი სიმრავლეთა კლასი ჩაკეტილია სასრულ გაერთიანებათა მიმართ და არ არის ჩაკეტილი თვლად გაერთიანებათა მიმართ. ორივე გარემოება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ლებეგის ტიპის ზომების სხვადასხვა გაგრძელებების მოძებნის დროს, ამასთან, უკანასკნელი გარემოება შესაძლებელს ხდის გადაწყვეტილი იქნას სერპინსკის პრობლემები ამოზნადი კლასების გაფართოებადობისა და ლებეგის ტიპის ზომების გაგრძელებადობის შესახებ. უკანასკნელ პრობლემას შ. ფხაკაძე წყვეტს მეტად სარწმუნო ჰიპოთეზის საფუძველზე, სახელდობრ, შემდეგი ჰიპოთეზის საფუძველზე: არ არსებობს კონტინუუმის სიმძლავრეზე ნაკლები ან ტოლი მიუღწევადი კარდინალური რიცხვი. შ. ფხაკაძემ მოძებნა აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლეთა რიგი მნიშვნელოვანი მახასიათებელი თვისებები აუცილებელი და საკმარისი პირობების სახით.

თითოეული ამ პირობათაგანი შეიძლება მიღებული იქნეს როგორც საფუძველი აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლის ცნების განსაზღვრის დროს. ამ თვისებებიდან ორი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს.

/1/ იმისათვის, რომ $A \subset R^n$ სიმრავლე იყოს აბსოლუტურად ნულზომის, აუცილებელი და საკმარისია, რომ A სიმრავლის ყოველი თვლადი კონფიგურაცია იყოს გაჭრობადი. ($X \subset R^n$ სიმრავლეს გაჭრობადი ეწოდება, თუ მოიძებნება ლებეგის აზრით ნულზომის სიმრავლე, რომელიც წარმოიდგინება $\bigcap_{i=1}^{\infty} X_i$ სახით, სადაც ყოველი X_i კონგრუენტულია X სიმრავლისა.)

/2/ იმისათვის რომ $A \subset R^n$ სიმრავლე იყოს აბსოლუტურად ნულზომის, აუცილებელი და საკმარისია, რომ ლებეგის ტიპის ნებისმიერი μ ზომისათვის არსებობდეს მისი ისეთი გაგრძელება μ_1, რომლისთვისაც გვაქვს $\mu_1(A)=0$.

/1/ თვისების საფუძველზე შ. ფხაკაძემ ააგო არაზომადი აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლე R^n სივრცეში n=1,2 შემთხვევებში. ამასთან დაკავშირებით იგი სვამს ამოცანას არა ზომადი აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლეების არსებობის შესახებ R^n სივრცეში (n=3,4,....). ეს ამოცანა ამოხსნა ა. ხარაზიშვილმა, ისევ /1/ თვისების საფუძველზე. განხილულ შრომაში შ.ფხაკაძე სვამს სხვა მნიშვნელოვან ამოცანებსაც. მისი მოწაფეები წარმატებით მუშაობენ ამ ამოცანებზე. მაგალითად, მ. თეთრუაშვილმა მისი შედეგები განაზოგადა ტოპოლოგიური ჯგუფებისათვის, ა. ხარაზიშვილმა კი გარდა ზემოაღნიშნულისა ამოხსნა შ. ფხაკაძის მიერ დასმული კიდევ სამი ამოცანა.

ლებეგის ზომის სხვადასხვა თვისებების მქონე გაგრძელებათა მოძებნის მძლავრი მეთოდების შექმნა განხილული ნაშრომის ძირითადი შინაარსია. მიუხედავად ამისა,

დიდ ინტერესს იწვევს ის შედეგები, რომლებიც მიიღებიან სიმრავლეთა ზოგად თეორიაში, შ.ფხაკაძის მიერ განხილულ ნაშრომში შექმნილი მეთოდების გამოყენებით: არსებითად ზოგადდება სხვადასხვა მიმართულებით ვ. სერპინსკის ერთი შედეგი თითქმის ინვარიანტული ნული ზომის, შესაბამისად პირველი კატეგორიის, სიმრავლის არსებობის შესახებ. იგება რამდენიმე მნიშვნელოვანი მაგალითი და მტკიცდება ზოგადი თეორემები დაფარვების შესახებ. გარდა ამისა განისაზღვრება თითქმის სავსებით არასიმეტრიული სიმრავლის ცნება და იგება სივრცის დაყოფა სავსებით არასიმეტრიულ საკუთრივ თითქმის Π^n-ინვარიანტულ სიმრავლეებად. ამ შედეგებზე დაყრდნობით არსებითად ზოგადდება პ.ერდოშის შედეგები R^n სივრცეში ზოგიერთი სახის წრფივი განტოლებების ამონახსენთა რიცხვის შესახებ. მიიღება სხვა მნიშვნელოვანი შედეგებიც, რომელთა შორისს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მის სადოქტორო დისერტაციაში განხილული (6.33) თეორემა.

თავის რეცენზიაში დისერტაციის შესახებ აკადემიკოსი ნოვიკოვი წერდა-"ლებეგის ტიპის ზომათა თეორიაში წამოიჭრა რიგი საკითხებისა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია სერპინსკის მიერ დასმული პრობლემა ნებისმიერი ლებეგის ტიპის ზომის ნებისმიერი გაგრძელებისათვის მისი სხვა გაგრძელების არსებობის შესახებ. ზომათა თეორიაში გაგრძელებადობის პრობლემა ერთ-ერთი ფუნდამენტურია, და ბუნებრივია, ეს საკითხი იწვევდა და იწვევს დიდ ინტერესს. მიუხედავად ამისა, დასმული ამოცანების ამოხსნა, ლებეგის ტიპის ზომათა გაგრძელებადობის თაობაზე, არ ჩანდა და წინაც არ მიიწევდა. განსახილველი დისერტაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს აღნიშნული მიმართულებით, უფრო მეტიც, მე ვიტყოდი, მან თეორია დაძრა მკვდარი წერტილიდან. მრავალრიცხოვანი შედეგები ავტორისა შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად.

1. მოძებნილია ლებეგის ტიპის ზომების გაფართოების ზოგადი მეთოდები და გაფართოებულია ამოხსნადი სიმრავლთა კლასები.

2. ზომების განზოგადება იმ აზრით, რომ ჩვეული მოთხოვნები ინვარიანტულობის შესახებ შეცვლილია მოთხოვნებით ზომათა შენარჩუნებისათვის ჯგუფის წარმომქმნელ სივრცეთა ურთიერთცალსახა გარდაქმნებისათვის.

3. ზომის სტრუქტურის შესწავლა მისი შემადგენელი ზომებად დაშლის გზით და წინასწარ განსაზღვრული კანონიკური გაშლის მოძიება.

4. გამოყენებანი ავტორის მიერ განვითარებული მეთოდებისა ზომათა თეორიის ჩარჩოების გარეთ მდებარე საკითხებისათვის.

პირველი წრე მინიშნებული საკითხებისა ქმნის საკმარისად ზოგად თეორიას ლებეგის ტიპის ზომათა გაგრძელებადობის შესახებ. ამ კვლევებში ავტორი იყენებს რიგ უმნიშვნელოვანეს ცნებებს. ასე მაგალითად, აბსოლუტურად ნულზომის სიმრავლის ცნება, საკუთრივ თითქმის ინვარიანტული სიმრავლის ცნება და ა.შ. ზოგიერთი ამ ცნებათაგანი ჩანასახური სახით გვხვდება სხვა ავტორებთანაც. თუმცა, დისერტაციაში ისინი განვითარებულნი არიან სისტემატურად და ეჭვი არ არის რომ შემდგომშიც ისინი არაერთგზის იქნებიან გამოყენებულნი.

დისერტაციაში შექმნილი, ზომათა გაგრძელების თეორია, რა თქმა უნდა, არ იქნებოდა სრულყოფილი, რომ მისი მეშვეობით არ ხერხდებოდეს წინსვლა მიმართულებით დასმული და ზემოთ ხაზგასმულ პრობლემათა გადაჭრის საქმეში. ცენტრალური ამ პრობლემათა შორის არის სერპინსკის პრობლემა არაგაგრძელებადი ზომის არსებობის შესახებ. დისერტაცია იძლევა შემდეგ პასუხს დასმულ კითხვაზე: თითოეული $\mathfrak{I}^n$-ზომა გაგრძელებადია, თუ არ არსებობს

კონტინუუმზე ნაკლები მიუღწევადი კარდინალური რიცხვი. შემდგომ აანალიზებს რა ხსენებულ პასუხს, პ. ს. ნოვიკოვი წერს- "მე ვთვლი, რომ სერპინსკის პრობლემა გადაწყვეტილია საკმარისი სისრულით.

ავტორი გვიჩვენებს, რომ თუ $\exists^n$-ზომის აქსიომებს დავუმატებთ (A) და (B) სავსებით ბუნებრივი აქსიომებიდან ერთ-ერთს, მაშინ ამ ტიპის ზომებისათვის სერპინსკის პრობლემა იხსნება სრული სისრულით ყოველგვარი ჰიპოთეზების გარეშე. ზუსტად ასევე, ყოველგვარი ჰიპოთეზების გარეშე მტკიცდება გაფართოებადობა ნებისმიერი ამოხსნადი კლასის."

დასასრულს ნოვიკოვი წერს- "... განსახილველი შრომა წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან წინსვლას სიმრავლეთა თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროში. მასში შექმნილია ძლიერი მეთოდები რომლებიც საშუალებას იძლევიან გადავლახოთ დიდი სიძნელეები".

ოფიციალური ოპონენტი, ლიაპუნოვი, წერდა- "ნაშრომი წარმოადგენს მკაფიო მოვლენას სიმრავლეთა თეორიაში".

პროფესორი ვ. ა. როხლინი თავის რეფერატში აღნიშნული ნაშრომის შესახებ, წერს "ნაშრომი წარმოადგენს ფუნდამენტურ კვლევას მიძღვნილს ლებეგის ტიპის ზომათა ინვარიანტული გაგრძელებადობის საკითხისადმი. ცნობილია, რომ ასეთი გაგრძელებები არსებობს, თუმცა, აქამდე ჩვენი ცოდნა მათზე იყო საკმაოდ ღარიბი და ძირითადად იფარგლებოდნენ ცალკეული მაგალითებით. ავტორმა შეძლო დაემტკიცებია მათზე სისტემური თეორიის შემქმნელი რიგი ზოგადი ხასიათის სტრუქტურული თეორემები".

შრომების მეორე ციკლის მეორე ნაწილში, რომელიც შედგება რვა ნაშრომისაგან, შ. ფხაკაძე აგრძელებს კვლევას იმავე მიმართულებით და იღებს ღრმა შედეგებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შედეგები, რომელიც მიღებულია ნაშრომში

"Один общий метод построения" (თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, 1963, 29, 103–119). მასში მოცემულია ნამდვილ რიცხვთა აბელის ჯგუფის ეფექტურად განსაზღვრული ისეთ ქვეჯგუფთა აგების ერთი ზოგადი მეთოდი, რომელთაც აქვთ ნული ზომა და კონტინუალური სიმრავლე სიმეტრიული მოსაზღვრე კლასებისა.

ეს მეთოდი იძლევა შესაძლებლობას აიგოს ასეთი ქვეჯგუფების ინდივიდუალურ მაგალითთა უსასრულო რაოდენობა. მტკიცდება, რომ ყველა ასეთ ქვეჯგუფთა სიმრავლის სიმძლავრე არის 2^{χ}. ამასთან, ნაჩვენებია, რომ თითოეულ ასეთ ქვეჯგუფს აქვს ფრიად პარადოქსალური თვისება. მისგან ორჯერ შეკუმშვით მიღებული სიმრავლე (იმლება) იხლიჩება კონტინუალურ რაოდენობა სიმრავლეებად, რომელთაგან თითოეული ამ სიმრავლის კონგრუენტულია. ბუნებრივად ისმის პრობლემა ასეთ სიმრავლეთა ადგილის შესახებ ნ. ლუზინის სკოლის მიერ აგებულ ეფექტურ სიმრავლეთა შორის. სახელდობრ, ძალზე საინტერესოა გამოვარკვიოთ, გამოდის თუ არა ასეთი სიმრავლეები პროექციულ სიმრავლეთა კლასის ფარგლებს გარეთ.

პროფ. შ. ფხაკაძის შრომების შემდეგი ციკლის შედეგები ძირითადად გადმოცემულია მონოგრაფიაში "Некоторые вопросы теории обозначений" /თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977/. მასში შემოიტანება და შეისწავლება შემამოკლებელ სიმბოლოთა განმსაზღვრელი წესები. ნაშრომი მიეკუთვნება მათემატიკურ ლოგიკას. მიუხედავად ამისა ეს მონოგრაფია მსგავსია ზემოთ განხილულისა იმით, რომ აქაც თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ძირითად ცნებათა შემუშავებას. ამ შემთხვევაში შ. ფხაკაძის გამოკვლევათა აღნიშნული თავისებურება ვლინდება განსაკუთრებული ძალით. მასთან,

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ფრიად მნიშვნელოვანია გამოკვლევის იდეური მხარე.

ფორმალური მათემატიკის განვითარებამ მიგვიყვანა მნიშვნელოვან აღმოჩენებამდე, მნიშვნელოვან შედეგებამდე. მიღებულია რიგი მნიშვნელოვანი, როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული ხასიათის შედეგებისა, რომლებიც განეკუთვნებიან არა მარტო მათემატიკის საფუძვლებს, არამედ აგრეთვე მის სპეციალურ დარგებსაც. ასეთი შედეგების მიღება ფორმალური მათემატიკის მეთოდების გამოუყენებლად მათემატიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ითვლება საეჭვოდ. ამიტომ ფორმალური მათემატიკის მეთოდების დაუფლება მეტად მნიშვნელოვანია მთელი მათემატიკის განვითარებისათვის. მიუხედავად ამისა, ამჟამად მათემატიკის უმეტესი დარგებისა ვითარდება შინაარსულ დონეზე. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ფორმალური მათემატიკის მეთოდების დაუფლება ძნელია, რამდენადაც — და ეს მთავარია — ჯერჯერობით არა გვაქვს ფორმალური მათემატიკური სისტემების სრულყოფილი გადმოცემები. ამჟამად არსებული გადმოცემების სრულყოფისათვის საჭიროა ღრმა მეცნიერული გამოკვლევები.

ფორმალური მათემატიკური სისტემების ერთ-ერთი არსებითი თავისებურებაა თეორიის ალფაბეტის შეზღუდვა და მისი მინიმუმამდე დაყვანა. ამის შედეგად თეორიის წინადადებათა კლასი ხდება მთლიანობაში განხილვისათვის ხელმისაწვდომი. ზუსტად განისაზღვრება დამტკიცების ცნება, გარკვევით ყალიბდება რიგი მათემატიკური პრობლემებისა და ადვილდება მათი გადაწყვეტა. თანამედროვე მათემატიკური თეორიები, რომლებიც შინაარსულ დონეზე ვითარდებიან, განიცდიან ფორმალური მათემატიკური თეორიების მეთოდების გავლენას, მათსავით ზღუდავენ თეორიის ალფაბეტს, დაჰყავთ

იგი მინიმუმამდე და ძირითადად ინტუიციურ ცნებებს უთანადებენ ზუსტ მათემატიკურ ცნებებს. ასე შემოაქვთ, მაგალითად, ალგორითმის მათემატიკური ცნება და მასთან დაკავშირებული ცნებები.

თუმცა თეორიის ალფაბეტის შეზღუდვას თეორიულად მნიშნელოვანი უპირატესობა აქვს, მიუხედავად ამისა, იგი იწვევს არსებით სიძნელეებს. სახელდობრ, ჩვენ რომ მხოლოდ თეორიის შეზღუდული ალფაბეტის სიმბოლოებით გვესარგებლა იძულებული ვიქნებოდით გვეწერა უალრესად გრძელი ფორმები (ფორმულები და ტერმები), ასეთი ფორმების როგორც ჩანაწერის სახით წარმოდგენა ისე ამ წარმოდგენის საფუძველზე მათი შინაარსის აღქმა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ სიძნელეების გადასალახავად შემოაქვთ შემამოკლებელი სიმბოლოები.

საკმაოდ მდიდარი თეორიის შემთხვევაში (როგორიცაა მაგალითად, სიმრავლეთა თეორია) შემამოკლებელ სიმბოლოთა განსაზღვრელ წესებს ჩვეულებრივ არ ზღუდავენ ან მცირედ ზღუდავენ, ისე რომ შეუძლებელია შემამოკლებელ სიმბოლოთა და შემამოკლებელ ფორმათა ზოგადი თვისებების დადგენა. ამიტომ, აუცილებელობის გამო, ეყრდნობიან პრინციპს, რომლის მიხედვით შემამოკლებული ფორმა განიხილება როგორც ამ შემოკლებული ფორმით აღნიშნული ფორმა. მაგრამ ამ პრინციპის სრული განხორციელება შეუძლებელია ზემოთ მითითებული სიძნელეების გამო. აქედან გამომდინარეობს აღნიშნული პრინციპის შეცვლის და მის ნაცვლად ისეთი პრინციპის მიღების აუცილებლობა, რომელიც გულისხმობს შემოკლებულ ფორმებზე უშუალო ოპერირების საფუძველზე გაკეთდეს დასკვნა ძირითადი თეორიის შესაბამის ფორმებზე. ამისათვის, თავის მხრივ, აუცილებელია გვქონდეს შემოკლებულ ფორმებზე ოპერირების ზოგადი კანონები. ამიტომ აუცილებელია დავადგინოთ შემამოკლებელ სიმბოლოთა და

შემოკლებულ ფორმათა ზოგადი თვისებები. ასეთი ზოგადი კანონების დადგენისათვის აუცილებელია შემამოკლებელი სიმბოლოსა და შემოკლებული ფორმის ინტუიციური ცნებები შევზღუდოთ ზუსტი მათემატიკური ცნებებით, ე.ი. აუცილებელია მათემატიკურად განვსაზღვროთ შემამოკლებელი სიმბოლოს ცნება მათი შემომტანი წესების შეზღუდვის საფუძველზე. ამასთან, მოითხოვება უკანასკნელი ამოცანის რაციონალური გადაწყვეტის მოძებნა.

ნაშრომში მოძებნილია საკმაოდ რაციონალური სისტემა შემამოკლებელ სიმბოლოთა განმსაზღვრელი წესებისა კლასიკურ ფორმალურ და შინააარსულ მაათემატიკური თეორიების შემთხვევაში. აღნიშნული სისტემა რაციონალურია შემდეგი აზრით. ერთის მხრივ, იგი იმდენად ზოგადია, რომ მისი დახმარებით შეიძლება შემოვიტანოთ კლასიკურ ფორმალურ თეორიებში გამოყენებული თითქმის ყველა შემამოკლებელი სიმბოლო, მეორეს მხრივ კი, ამ წესებით შემოტანილი შემამოკლებელი ფორმები ფლობენ ისეთ მდიდარ თვისებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მნიშვნელოვან თავისუფლებას შემოკლებულ ფორმებზე ოპერირებისას. სახელდობრ, მათემატიკური მსჯელობები შეიძლება გადავიტანოთ შემამოკლებელი სიმბოლოებით გაფართოებულ თეორიებში ბუნებრივი ზოგადი კანონების საფუძველზე.

ასეთი (ფორმალური ან შინაარსული) მათემატიკური თეორიის აგებას, რომელსაც ექნება შეზღუდული ალფაბეტი და, ზემოთ აღნიშნული აზრით, შემამოკლებელ სიმბოლოთა შემოტანის რაციონალური წესები, აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ძირითადი თეორიის შესასწავლად ეფექტურად იქნეს გამოყენებული შემამოკლებელი სიმბოლოების დამატებით მიღებული მისი სხვადასხვა გაფართოებები. იგი ღრმად ავლენს სხვადასხვა მათემატიკურ თეორიებს შორის არსებულ

კავშირებს. ამასთან, იგი პრაქტიკულად აუცილებელია მათემატიკური გამოკვლევების ავტომატიზაციისათვის და ისეთი სპეციალური სისტემების შექმნისათვის, რომლებსაც შეეძლებათ მათემატიკური ტექსტის დამუშავება.

ამის გარდა ნაშრომში შეისწავლება შემოკლებული ფორმიდან ფორმის აღდგენის ალგორითმული პროცესები. საკმაოდ ბუნებრივად შემოტანილ ალგორითმთა კლასში მოძებნილია შემოკლებული ფორმიდან ფორმის აღდგენის ალგორითმი ბიჯების მინიმალური რიცხვით. შეისწავლება აგრეთვე შემოკლებული სიმბოლოებისა და შემოკლებულ ფორმათა სხვადასხვა რიცხვითი მახასიათებლები და მოძებნილია ამ რიცხვითი მახასიათებლების გამოსაანგარიშებელი ალგორითმები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში შემოტანილია კარგად მოფიქრებული მოხერხებული ტერმინოლოგია და ცნებების სისტემა. სახელდობრ, შემოტანილია შემამოკლებელ სიმბოლოთა და შემოკლებულ ფორმათა მიმდევრობების სხვადასხვა ტიპი, შემოკლებული ფორმიდან ფორმის აღდგენის სხვადასხვა პროცესი, შემამოკლებელი სიმბოლოს განსაზღვრების კერძო შემთხვევების სხვადასხვა ტიპი და სხვა.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ პროფესორ შ. ფხაკაძის მონოგრაფია წარმოადგენს მათემატიკური ლოგიკის მნიშვნელოვან შენაძენს და ღრმა გამოკვლევას ამ დარგში. იგი მიეკუთვნება მათემატიკის საფუძვლებს. ამასთან, მას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. იგი წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ მონოგრაფიების შექმნისას ფორმალური ან შინაარსული მათემატიკის იმ დარგებში, რომლებიც სარგებლობენ შეზღუდული ალფაბეტით. იმ ფორმალური ან შინაარსული მათემატიკური თეორიის გადმოცემისას, რომელიც სარგებლობს შეზღუდული ალფაბეტით, უნდა ვისარგებლოთ I-IV ტიპის, II′ და IV′

შემამოკლებელი სიმბოლოებით. ასეთი შემამოკლებელი სიმბოლოებისათვის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილია მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც გვიადვილებს მათემატიკური მსჯელობების ჩატარებას. ამასთან შესაძლებელი ხდება ის მსჯელობები, რომლებიც ეყრდნობა ინტუიციას, შეიცვალოს ზუსტი მათემატიკური მსჯელობებით.

მონოგრაფიაში აღნიშნული საკითხების შემდგომი შესწავლა ავტორის მიერ მითითებული მიმართულებით ძალზე მნიშვნელოვანია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული შედეგების საფუძველზე იქმნება კარგად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი თეორია - აღნიშვნათა თეორია, რომელიც აქამდე არსებობდა მხოლოდ როგორც ნაწილი, ერთი ფრაგმენტი, უფრო ზოგადი თეორიისა - განსაზღვრებათა თეორიისა.

დასასრულს შევნიშნოთ, რომ განხილული მონოგრაფიის შედეგებით ინტერესდებიან არა მარტო თეორეტიკოსები, არამედ აგრეთვე გამოყენებითი მათემატიკის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ავტომატების თეორიაში. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა მათემატიკური კვლევის ავტომატიზაციის მიზნით ისეთი ავტომატური სისტემების შექმნისათვის, რომლებიც შესძლებენ მათემატიკური ტექსტების დამუშავებას. არსებობს საკმაოდ დამაჯერებელი მოსაზრებები, რომლის მიხედვით საკმაოდ მდიდარი მათემატიკური თეორიის მხოლოდ ისეთი მათემატიკური ტექსტები შეიძლება დამუშავდეს ავტომატური სისტემების დახმარებით, რომლებიც სარგებლობენ შეზღუდული ალფაბეტით და რომლებიც შექმნილია კარგად განვითარებული აღნიშვნების თეორიის საფუძველზე.

შემდგომშიც შ. ფხაკაძე განაგრძობს კვლევას მის მიერ შექმნილი შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორიის განვითარების მიზნით. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შრომა

"Некоторые задачи теории сокращающих символов" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის შრომები ტ. 11, 1982). ამ ნაშრომში დასმულია ამოცანები და მითითებულია პერსპექტიული მიმართულებები შემამოკლებელ სიმბოლოთა თეორიაში.

პროფ. შალვა ფხაკაძის კვლევათა ამ ეტაპის უკეთ წარმოჩენის მიზნით მოგვყავს ზოგიერთი ფრაგმენტი ცნობილი რუსი მეცნიერების რეცენზიებიდან.

<u>ვ. მატროსოვი</u> - *"ჩვენი თვალსაზრისებით, ცოდნის წარმოდგენა და ეგმ-ის "აზროვნების" ეკონომიურობა (კერძოდ, ეგმ-ის მონაცემთა სტრუქტურირებისათვის ცნებებისა და თეორემების იერარქიული ორგანიზაცია და მათემატიკური ტექსტების დაშუშავება) ითხოვენ და საჭიროებენ ალნიშვნათა თეორიის გამოყენებას.*

შ. ს. ფხაკაძის მონოგრაფია პირველი მცდელობაა ალნიშნული საკითხების სისტემატური შესწავლისა. საყრდენ მასალად განიხილება საკმარისად მდიდარი ენის მქონე თეორია ზოგადად აქსიომებისა და გამოყვანის წესების მინიშნების გარეშე. განსაზღვრულია შემამოკლებულ სიმბოლოთა შემომტანი შემზღუდველი პირობები. ეს იძლევა საშუალებას შემოკლებულ ფორმებზე ფორმალური ოპერირებისა ნაცვლად ოპერირებისა მათ მიერ ალნიშნულ ფორმებზე (რაც რიგ შემთხვევებში სრულად განუხორციელებელიც კია). შეისწავლება ზოგადი თვისებები შემოკლებული ფორმებისა, განისაზღვრება მოქმედებები შემოკლებულ ფორმებზე და მტკიცდება ძირითადი თეორემები მათ შესახებ. შემოკლებულ სიმბოლოთა შემომტანი წესები შერჩეულია იმ მოსაზრების გათვალისწინებით რომ მიღებულ შემოკლებულ ფორმებს ჰქონდეთ საწყისი მოცულობა საჭირო კარგი თვისებებისა, უზრუნველსაყოფად ალგებრული ჰომომორფიზმისა

შემოკლებულ ფორმებზე მოქმედებათა ალგებრისა და საყრდენი თეორიის ფორმებზე მოქმედებათა ალგებრას შორის.

ამ მოსაზრებათა გათვალისწინებით, მინიშნებული ჰომომორფიზმის ზოგადობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, შერჩეულია შემოკლებულ სიმბოლოთა შემზღუდავ წესთა სისტემა კლასიკური ფორმალური და შინაარსული მათემატიკური თეორიებისათვის."

<u>ი. იანოვი</u> - "მიუხედავათ იმისა რომ, მათემატიკური თეორიების ავებისას შემამოკლებელ ალნიშვნებს იყენებდნენ და ეხლაც გამოიყენება, სისტემატური შესწავლა ალნიშულთან დაკავშირებით წამოჭრილი საკითხებისა პირველად განხორციელებული იქნა შ.ს. ფხაკაძის ზემოთხსენებულ ნაშრომში. მათში მოცემულია მათემატიკურ თეორიებში შემამოკლებელი ალნიშვნების შემოტანისა და გამოყენებისათვის საჭირო თეორიული საფუძვლები. მნიშვნელოვანება ამ პრობლემატიკისა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ განვითარება და გადმოცემა ნებისმიერი, თუნდაც საკმარისად მარტივი მათემატიკური თეორიისა პრაქტიკულად შეუძლებელია ამ თეორიის დამატებითი სიმბოლოებითა და მათი განმსაზღვრელი აქსიომებით გაფართოების გარეშე, რომლებიც თეორიაში შემამოკლებელი სიმბოლოების როლს თამაშობენ. ამასთან წინა პლანზე დგება რიგი მნიშვნელოვანი ამოცანებისა, მაგალითად, როგორიცაა საკითხი გაფართოებათა კონსერვატიულობის შესახებ, ე.ი. საკითხი იმის თაობაზე, გადადის თუ არა გაფართოებულ თეორიაში საწყისი თეორიის ენის ფარგლებში ჩამოყალიბებული თეორემათა (სიმრავლე) კლასი უცვლელად, აგრეთვე საკითხი შემოკლებულ და არაშემოკლებულ ალნიშვნათა ურთიერთკავშირების შესახებ, და ა.შ. შ.ს. ფხაკაძის ნაშრომი შემამოკლებული სიმბოლოების განსაზღვრებათა და კლასიფიცირებათა მეშვეობით იძლევა საშუალებას მთელ რიგ

შემთხვევებში საკმარისად მივიღოთ პასუხები ზემოთწამოჭრილი სახის საკითხებზე.

ნაშრომის საფუძველმდებითმა იდეებმა მიიღეს შემდგომი განვითარება შ.ს. ფხაკაძის მოწაფეთა შრომებში. პერსპექტივაში ნაშრომის კონკრეტული განვითარებანი ამ მიმართულებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ხელოვნური ინტელექტის პრობლემატიკასთან დაკავშირებული რივი ამოცანების გადაწყვეტისას".

<u>ს. ვ. იაბლონსკი</u> - *პროფ. შ.ფხაკაძის მიერ განვითარდა ორიგინალური მიმართულება, რომელიც ეხება ფორმალური თეორიების საფუძვლებს. თეორიის აგებისას ჩვენ, როგორც წესი, ვეყრდნობით შეზღუდულ ალფაბეტს და ამიტომ იძულებულნი ვართ გამოვიყენოთ შემამოკლებელი სიმბოლოები, რომლებიც არ ეტევიან თეორიის ძირითადი ალფაბეტის ფარგლებში. ფხაკაძისეული აღნიშვნათა თეორია იძლევა ზოგად მიდგომებს შემამოკლებელ ფორმებზე ფორმალური ოპერირებისა, ამას კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათემატიკური ლოგიკის ფარგლებში მათემატიკური თეორიების და ხელოვნური მათემატიკური ენების აგების საქმეში.*

<u>ს. ნიკოლსკი</u> - *„მისი მონოგრაფია "აღნიშვნათა თეორიის ზოგიერთი საკითხები" არა მხოლოდ ჰქმნის ახალ განვითარებად მიმართულებას, არამედ იძლევა დიდ პერსპექტივებს მათემატიკური ტექსტების ავტომატური მეთოდებით დამუშავების საქმეში."*

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია შ. ფხაკაძის გამოსვლამ ჩორჩის თეზისის კრიტიკით ლოგიკოსთა VI საკავშირო კონფერენციაზე. ამ მიმართულებით მიღებულ შედეგებს ძირითადად მოიცავს ნაშრომი „Один пример интуитивно выслимой всюду определенной функции и тезис Черча" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამომცემლობა 1984) და ჯერ არგამოქვეყნებული ნაშრომი სათაურით „Усыленный пример интуитивно вычислимой всюду определенной функции и тезис Черча“. ამ ნაშრომებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ნაშრომში განიხილება ძლიერ მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხი ჩორჩის თეზისის სამართლიანობის შესახებ. ეს თეზისი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად: ნებისმიერი ინტუიციურად გამოთვლადი ფუნქცია არის რეკურსული (ან ასე: ინტუიციურად გამოთვლადი ფუნქციათა კლასი ემთხვევა რეკურსიულ ფუნქციათა კლასს). მხედველობაშია $N^n \to N$ ტიპის ფუნქციები, სადაც N-ნატურალურ რიცხვთა სიმრავლეა. ცნობილია ჩორჩის თეზისის სასარგებლო რიგი მოსაზრებებისა, რომელთა საფუძველზე თითქმის ყველა ლოგიკოსი ჩორჩის თეზისს თვლის სამართლიანად. ჩორჩის თეზისის საფუძველზე მტკიცდება ბევრი ძლიერი შედეგი როგორც თეორიისათვის, ისე პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანი ალგორითმული პრობლემების ამოუხსნებადობის შესახებ. ამ თეზისის გამოყენებით მტკიცდება, მაგალითად, თეორიულად ძლიერ მნიშვნელოვანი შედეგი, ფორმალური არითმეტიკის ფორმალურად არასისრულის შესახებ. ამიტომ, გასაგებია, რომ, ჩორჩის თეზისის უარყოფას ექნება ძლიერ დიდი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული, მნიშვნელობა, რამდენადაც ჩორჩის თეზისის სამართლიანობის შესახებ არსებული რწმენა ფაქტიურად კრძალავს ასეთი პრობლემების შემდგომ კვლევას.

ხსენებულ ნაშრომში ავტორი ორგინალური მეთოდის გამოყენებით, რომელსაც იგი უწოდებს “რთულ დიაგონალურ მეთოდს”, აგებს ინტუიციურად გამოთვლად ყველგან განსაზღვრულ f ფუნქციას და შეისწავლის მის თვისებებს. ამ თვისებების საფუძველზე ავტორი ჰიპოთეზის სახით გამოთქვამს თავის სრულ რწმენას, რომ ჩორჩის თეზისის საწინააღმდეგოდ,

f ფუნქცია არაა რეკურსიული. განხილულ ნაშრომში მოცემულია სხვა ისეთი ჰიპოთეზებიც, რომლებიც აგრეთვე ეწინააღმდეგებიან ჩორჩის თეზისს, ამასთან ერთ-ერთი მათგანისათვის დამტკიცებულია, რომ იგი არ შეიძლება უკუგდებულ იქნას, იმ აზრით, რომ მისი უარყოფიდან გამომდინარეობს ჩორჩის თეზისი, ჩორჩის თეზისის დამტკიცების შეუძლებლობას კი, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა ლოგიკის თითქმის ყველა სპეციალისტი თვლის უდაოდ.

მათემატიკური ლოგიკისა და ალგორითმების თეორიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ჩორჩის თეზისის წინააღმდეგ გამოსვლა მისი არასამართლიანობის შესახებ ჰიპოთეზის გამოთქმით წმინდა სახის სპეკულაცია იქნებოდა. საქმე იმაშია, რომ თითქმის ყველა ლოგიკოსი თვლის უდაოდ, რომ ჩორჩის თეზისი არ შეიძლება დამტკიცდეს. მაშასადამე, თუ ეს ასეა, ყოველგვარი რისკის გარეშე შეიძლება გამოთქვა ჰიპოთეზა ჩორჩის თეზისის არა სისწორის შესახებ. შ. ფხაკაძის ჰიპოთეზის შემთხვევაში სავსებით საწინააღმდეგო ვითარებაა: გამოთქვა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ კონკრეტულად მოცემული ინტუიციურად გამოთვლადი f ფუნქცია არაა რეკურსული - ეს ძლიერ გაბედული და სარისკო საქმეა. საქმე შემდეგშია: ჩორჩის თეზისის სასარგებლო მოსაზრებებიდან ერთ-ერთს შემდეგნაირად აყალიბებენ: ყოველი აქამდე აგებული ინტუიციურად გამოთვლადი ფუნქციისათვის ადვილად პოულობდნენ მისი რეკურსიულობის დამტკიცებას. ამასთან, რწმენა იმისა, რომ მომავალშიც ასე იქნება, იმდენად ძლიერია, რომ ბევრი ავტორი არ თვლის საჭიროდ კონკრეტულად მოცემული ინტუიციურად გამოთვლადი ფუნქციისათვის ეძებოს მისი რეკურსიულობის დამტკიცება, თვლის რა, სურვილის შემთხვევაში ეს შეიძლება გაკეთდეს ყოველგვარი სიძნელეების გარეშე. აქვე შევნიშნოთ,რომ იყო ცდები f ფუნქციის რეკურსიულობის დამტკიცების გზით დაემტკიცებინათ ფხაკაძის განხილული ჰიპოთეზის მცდარობა (1986), მაგრამ ამას დღემდე შედეგი არ მოჰყოლია.

Instead of Preface

This booklet is dedicated to the memory of Professor Shalva Pkhakadze, an Honoured Scientist of Georgia. He was born in the village of Zeda Sakara of Zestafoni region in the family of Samson Pkhakadze and Nino Putkaradze.

Besides him four more children grew up in the Pkhakadze family - a sister Tamar and brothers Mikheil, Vasil and Petre. All the five, due to their professional and not only professional activities, became respected and highly rated public figures.

Tamar Pkhakadze was an Honoured Geologist of Georgia. She discovered a medicinal spring in the Terjola region and was first to notice its healing qualities. The spring now is known as Tamar's Spring.

Mikheil Pkhakadze, an Honoured Physician of Georgia, a retired colonel, a medical officer who participated in the Second World War and was decorated by several orders, still devotes all of himself to the cause of care of public health.

